

საიდ. N84583/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N99-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი, თ. ჯაფარიძე, უ. ომხნელი, თ. კველიშვილის მდივნობით განიხილა გოჩა ფიფიას N99-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 05 აგვისტოს N1782/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) რეგისტრაცია 33-ე კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „ქართული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 05 აგვისტოს N1782/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითია განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „GEORGIAN“, რომელიც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანში შესულია დაუცველი ნაწილის სახით. განმცხადებელმა 2016 წლის პირველ აგვისტოს წერილით, წარმოადგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წლის 27 ივლისის N04/13-3341 წერილით გაცემული ნებართვა, სასაქონლო ნიშანში „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) აღნიშნული სიმბოლოს დაუცველი ნაწილის სახით გამოყენების შესახებ. ამასთან, სარეგისტრაციოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03), შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „STANDARD“, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „სტანდარტი“. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 65-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად „სტანდარტი“ წარმოადგენს: „კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებულ და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებულ დოკუმენტს, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „ქართული სტანდარტი“.

რომელიც მომხმარებლის მიერ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტი - საქართველოს სტანდარტი. აღნიშნული ტერმინი კი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 65-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს, როგორც საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან მომხმარებელი ჩათვლის, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშნით წარმოებული პროდუქტი აკმაყოფილებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ/დადგენილ სტანდარტს. შესაბამისად განცხადებული ნიშნის გამოყენება შესაძლებელია ყველა იმ მწარმოებლის მიერ რომლის წარმოებული საქონელი და/ან გაწეული მომსახურება აკმაყოფილებს სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ რეგისტრირებულ/დადგენილ სტანდარტებს.

ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია 33-ე კლასის საქონლის განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“. გოჩა ფიფიას მიერ განცხადებული ნიშანი წარმოადგენს აღწერილობით სიმბოლოს, ვინაიდან შედგება საქონლის ხარისხისა და საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი, გოჩა ფიფია არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, მართებულია, რომ სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ.N87583/03) ქართულად ითარგმნება როგორც, „ქართული სტანდარტი“, მაგრამ თვითნებური გაიგივება ტერმინების „ქართული სტანდარტი“ და „საქართველოს სტანდარტი“ არ არის მართებული. ორივე ამ წინადადებაში სიტყვები „ქართული“ და „საქართველოს“ არის ზედსართავი სახელი, მაგრამ თუ ტერმინი „ქართული“ არის სადაურობის განმსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავი სახელი, ტერმინი „საქართველოს“ არის დანიშნულების განმსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავი სახელი, ეს კი ძირეულად ცვლის ამ ორი წინადადების გაიგივების საკითხს, რადგან სემანტიკურად ეს წინადადებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

აპელანტის პოზიციით, მიმართებითი ზედსართავი სახელები წარმოიქმნება დეროვაციული აფიქსებით. სადაურობის განმსაზღვრელ ზედსართავ სახელს დაერთვის აფიქსი „-ელ“, „-ურ“, „-ულ“ და განსაზღვრავს არსებითი სახელის წარმომავლობას, მაგალითად, „კახ-ელი“, „კახ-ური“, „ქართვე-ელი“, „ქართ-ული“. დანიშნულების განმსაზღვრელი ზედსართავ სახელს დაერთვის აფიქსი „სა-ე“, „სა-ო“, „სა-ურ“ და განსაზღვრავს არსებითი სახელის დანიშნულებას, მაგალითად, „სა-ნადირ-ო“, „სა-ბავშვ-ო“, „სა-ქართველ-ო“ და ა.შ. ქართველმა მომხმარებელმა იცის ქართული და იგი არასდროს არ დასვამს ტოლობის ნიშანს სიტყვებს: „ბავშვ-ური“ და „სა-ბავშვ-ო“-ს შორის, ისევე, როგორც არ დასვამს ტოლობის ნიშანს ტერმინებს - „ქართული“ და „საქართველოს“ შორის. ამდენად არამართებულია ამ ტერმინების გაიგივება, რადგან ისინი პრინციპულად განსხვავებულად განმარტავენ არსებით სახელს მოცემულ

წინადადებაში - ცვლიან წინადადების შინაარს და შესაბამისად, უადგილოა „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მოხმობა „საქართველოს სტანდარტის“ განმარტებისათვის, რადგან სიტყვათა წყობას „ქართული სტანდარტი“ სულ სხვა სემანტიკური დატვირთვა აქვს და აღნიშნავს თუ სადაურია სტანდარტი, მაშინ როდესაც სიტყვათა წყობა „საქართველოს სტანდარტი“ სემანტიკურად განსაზღვრავს სიტყვა სტანდარტის დანიშნულებას და მიუთითებს, რომ იგი არის საქართველოს სტანდარტი.

აპელანტის განმარტებით, ექსპერტი აღნიშნავს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ.N87583/3) აღწერილობითია საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რადგან ტერმინი „GEORGIAN STANDARD“ („ქართული სტანდარტი“) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული აღწერილობითად, თუ მასში მონაწილეობს სიტყვა „ქართული“, რაც პირდაპირ მიანიშნებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვას „სტანდარტი“, არსობრივი ექსპერტიზის დასკვნაში თავად ექსპერტი განმარტავს ამ სიტყვას და უთითებს, რომ თანახმად „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“ სიტყვა „სტანდარტი - წარმოადგენს კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებულ და სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებულ დოკუმენტს, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს სხვადასხვა საქმიანობისათვის/მოქმედებისათვის ან მისი შედეგებისათვის გარკვეულ სფეროში ოპტიმიზაციის მიზნით“. აპელანტის პოზიციით, მოცემულ განმარტებაში არსად არის ნახსენები საქონლის/მომსახურების ხარისხი ან სხვა მახასიათებლები, არამედ ნახსენებია, რომ ტერმინი სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს. წესებს, ზოგად პრინციპებს და მახასიათებლებს განსაზღვრავს არა სიტყვა „სტანდარტი“ არამედ დოკუმენტი, რომლის კრებისითი სახელია „სტანდარტი“. თავად სიტყვა „სტანდარტის“ სემანტიკური მნიშვნელობა არანაირად არ არის

დაკავშირებული საქონლის/მომსახურების ხარისხთან ან სხვა მახასიათებლებთან. აპელანტის განმარტებით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვა „სტანდარტს“ უფრო ფანტაზიური დატვირთვა აქვს და სიტყვათა წყობაში „GEORGIAN STANDARD“ „ქართული სტანდარტი“ მომხმარებელმა შეიძლება წარმოიდგინოს ნებისმიერ რამ დაკავშირებული ქართულთან - ფოლკლორიდან დაწყებული, თანამედროვე მრეწველობისა და მეცნიერების ჩათვლით.

აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ.N87583/03) შედგება სიმბოლოებისაგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია აღწერილობითი და მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე და ეს ელემენტიც სასაქონლო ნიშანში გამოიყენება დაუცველი ნაწილის სახით.

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო, ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც განასხვავებს ერთი მეწარმის საქონელს სხვა მეწარმის საქონლისაგან. სასაქონლო ნიშნის სხვა დეფინიცია საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს. იგივე კანონის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი დაცულია „საქპატენტში“ საქპატენტში, ასეთ სასაქონლო ნიშანს ჰქონდა სასაქონლო ნიშნის მთავარი თვისება - განასხვავოს ერთი მეწარმის საქონელი სხვა მეწარმის საქონლისაგან. საქპატენტში დაცული სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში არის სასაქონლო ნიშანი „ქართული სტანდარტი, Грузинкий Стандарт, Georgian Standard“ (რეგ. N15948), რომელიც დაცული იყო 2005-2015 წლებში 33-ე კლასის საქონლისათვის. რადგან აღნიშნული სასაქონლო ნიშანი იყო რეგისტრირებული ცხადია „საქპატენტმა“, როგორც მარეგისტრირებელმა ორგანომ, მიიჩნია, რომ მას აქვს სასაქონლო ნიშნის მთავარი თვისება - განასხვავოს ერთი მეწარმის საქონელი სხვა მეწარმის საქონლისაგან. აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, „საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული

გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას“.

აპელანტს მაგალითად მოჰყავს „საქპატენტში“ რეგისტრირებული სხვა მსგავსი სასაქონლო ნიშნები: „GEORGIAN BITUMEN“ (რეგ. N26641; მე-19 კლასი), „Georgian Bakers“ (რეგ. N20985, 30-ე კლასი), „GEORGIAN STEEL“ (რეგ. N18964, მე-6 კლასი), „GEORGIAN PETROLEUM“ (რეგ. N18125, 35-ე კლასი), „RUSSIAN STANDARD“ (რეგ. N21491, 33-ე კლასი), „RUSSIAN STANDARD IMPERIA“ (საერთ. რეგ. N805460, 33-ე კლასი). აპელანტის განმარტებით, „საქპატენტის“ მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, მას გაუჩნდა კანონიერი ნდობა, რომ „საქპატენტი“ არ მიიღებდა განცხადებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას.

აპელანტმა სააპელაციო პალატაში საქმის განხილვის დროს შემდეგნაირად შეზღუდა 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი: „ქართული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 05 აგვისტოს N1782/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) რეგისტრაციას 33-ე კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „ქართული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №99-03/16) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის

თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ან/და მიჩნეულია ასეთად“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვისათვის: „ქართული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“ მსგავსი სიტყვათა კომბინაციით და ერთობლიობაში, არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ელემენტისაგან - „GEORGIAN“ და „STANDARD“. ამასთან, ნიშანში სიტყვიერი ნაწილი „GEORGIAN“ შესულია დაუცველი ნაწილის სახით და მას არ ენიჭება დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა. რაც შეეხება მეორე სიტყვიერ ელემენტს - „STANDARD“, იგი ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც სტანდარტი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1986 წ.) თანახმად, სტანდარტი ნიშნავს ტიპობრივ სახეს, ნიმუშს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ნაწარმი ხარისხის, ზომის, წონისა და სხვ. მიხედვით. ცალკე აღებულ სიტყვას „STANDARD“ არ ენიჭება სამართლებრივი დაცვა, თუმცა ორივე სიტყვის კომბინაცია ერთობლიობაში სძენს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას 33-ე კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ე. წ. სუსტ ნიშანს, შესაბამისად მისი დაცვის ფარგლები არის ვიწრო. განცხადებული ნიშნის დაცვის ფარგლები მოიცავს მხოლოდ ამ ორი სიტყვის კომბინაციას ერთობლიობაში და არა მის სიტყვიერ ნაწილებს ცალ-ცალკე. განცხადებული ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ მსგავსი სიტყვათა კომბინაციით არ

მიუთითებს საქონლის ხარისხზე, ვინაიდან საქართველო არ არის ცნობილი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქვეყანა და შესაბამისად, ქართული სტანდარტი პირდაპირი გაგებით არ მიაწოდებს საქონლის ხარისხზე. კოლეგია თვლის, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი, მართალია წარმოადგენს ე.წ. სუსტ ნიშანს, თუმცა მას შესწევს უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი/მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისაგან/მომსახურებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გოჩა ფიფიას სააპელაციო საჩივარი (N99-03/16) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 05 აგვისტოს N1782/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „GEORGIAN STANDARD“ (საიდ. N87583/03) დარეგისტრირდეს 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ქართული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები (ლუდის გარდა)“.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი